

## ტრიოდთირონინი (T3)

ტრიოდთირონინი (T3) ერთერთია იმ ჰორმონებიდან, რომლებსაც ფარისებრი ჯირკვალის წარმოქმნის. ის ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეტაბოლიზმის რეგულირებაში.

ფარისებრი ჯირკვლის კიდევ ერთი ჰორმონი - თიროქსინი(T4), სისხლში გაცილებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. სამაგიეროდ, T3 მეტაბოლიზმზე უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენს.

სისხლში T3-ის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილია თავისუფალი (შეუკავშირებელი ცილასთან), დანარჩენი დაკავშირებულია თიროქსინ-შემბოჭველ გლობულინთან. საერთო ტრიოდთირონინის ტესტი შრატში ორივეს კონცენტრაცია საზღვრავს.

T3-ის პროდუქცია კონტროლდება ჰიპოთალამუსისა და ჰიპოფიზის მიერ. როდესაც სისხლში T3-ის კონცენტრაცია იკლებს, ჰიპოთალამუსი გამოყოფს თიროტროპინ-რილიზინგ ჰორმონს, რომელიც ასტიმულირებს ჰიპოფიზის მიერ TSH-ის გამოთავისუფლებას. თავის მხრივ, TSH ასტიმულირებს ფარისებრი ჯირკვლის მიერ T3-ის გამოყოფას. თუკი T3-ის დონე სისხლში იმატებს, მაშინ უარყოფითი უკუკავშირის გზით TSH-ის გამოყოფა ითრგუნება.

## რატომ კეთდება T3-ის ტესტი?

T3-ის ტესტი ტარდება მაშინ, როდესაც TSH-ის ან T4-ის ანალიზის პასუხებში ნორმიდან გადახრა ფიქსირდება ან თუკი ადამიანს ჰიპერთირეოიდიზმის სიმპტომები აღენიშნება.

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?

ანალიზსთვის იღებენ სისხლს ვენიდან. სპეციალური მომზადება საჭირო არ არის.

### შედეგების ინტერპრეტაცია

T3-ის დონის მომატება შეიძლება გამოიწვიოს:

- გრეივისის დაავადებამ
- T3 თირეოტოქსიკოზმა

T3-ის დონის დაქვეითება შეიძლება გამოიწვიოს:

- ხანგრძლივმა ავადმყოფობამ
- ჰაშიმოტოს დაავადებამ
- შიმშილმა

T3-ის დონე აგრეთვე იმატებს ორსულობის და ღვიძლის დაავადებების დროს.

### კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?

სხვა დასახელება არ გააჩნია.

### საჭირო ინფორმაცია

მრავალ მედიკამენტს შეუძლია ტესტის შედეგებზე ზეგავლენის მოხდენა. ასეთი მედიკამენტებია მაგ. : ორალური კონტრაცეპტივები, ესტროგენი, ასპირინის მაღალი დოზები, კლოფიბრატი, მეტადონი, ამიოდარონი, ანდროგენები, ანტითირეოიდული პრეპარატები, ლითიუმი, ფენიტოინი, პროპრანოლოლი.